


ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი
თეორიული და გამოყენებითი ენათმეცნიერების
სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტი



ექსპერიმენტული ფონეტიკის
სამეცნიერო ლაბორატორიის გამგის,
ასოც. პროფესორის

ივანე ლეჟავასადმი

მიძღვნილი

სამეცნიერო კონფერენცია

პროგრამა/თეზისები

22 ნოემბერი, 2024 წელი

რეგლამენტი:

მოსხენება სხდომაზე – 15 წუთი

დისკუსია – სხდომის ბოლოს – 45 წუთი

სამუშაო ენა: ქართული

პროგრამა

პარასკევი, 22 ნოემბერი

11.00 – 11.30

**კონფერენციის გახსნა და მისალმებები
თსუ I კორპუსი, აუდიტორია 202**

11.30 – 14.00

I სხდომა

თსუ I კორპუსი, აუდიტორია 202

სხდომის თავმჯდომარე – ეთერ სოსელია

11.30 – ეთერ სოსელია

*ყაბ-/ *კაპ- ძირები საერთო-ქართველურში (სემანტიკური რეკონსტრუქცია)

11.45 – მარინე ივანიშვილი

[ღ]-ს გაჩენის კიდევ ერთი შემთხვევა ფშაურში

12.00 – ქეთევან ხუციშვილი

პლურალური თუ პარალელური სივრცეები: რელიგიური ლანდშაფტების კონსტრუქცია ურბანულ გარემოში

12.15 – როზეტა გუჯეჯიანი

ქართული ეთნოგრაფიის ისტორიიდან – დეკანოზი იოანე მარგიანი (1872-1933წწ.)

12.30 – მარკა ჯიქია

ამბავი სიტყვისა 'ოსმალო'

12.45 – ზურაბ ოქროპირიძე

ქართული ენის სალიტერატურო წარმოთქმის ინტონაციური თავისებურებების ანალიზი ToBI სისტემის საფუძველზე

13.00 – ნათია თავაძე

სისტემური ანალოგიებისა და იმიტაციის როლი ბავშვის მეტყველების განვითარებაში

13.15 – 14.00

დისკუსია

14.00 – 15.00

შესვენება

15.00 – 18.00

II სხდომა

თსუ I კორპუსი, აუდიტორია 202

სხდომის თავმჯდომარე – რუსუდან ასათიანი

15.00 – რუსუდან ასათიანი

სინტაქსური კლასტერები ქართულში

15.15 – რამაზ ქურდაძე

ფრანი – კიდევ ერთი ხმოვანმონაცვლე ზმნისაგან წარმოქმნილი სახელი

15.30 – სალომე ოშიაძე

გენდერული სტერეოტიპებით მოტივირებულ ლექსებათა ერთი ჯგუფის შესახებ

15.45 – მაია ლომია

ქრისტოლოგიური ტერმინი ბაიობა მეგრულში

16.00 – ქეთევან მარგიანი

პერფექტულ ზმნათა სპეციფიკა სვანურ სასიმღეროებში – ფორმათა აღრევა თუ გენეზისი?

16.15 – ქრისტინე ცერცვაძე

[ხ] ბგერის ფონეტიკური სიმბოლიზმი ქართულ ენაში

16.30 – ანა ჯაფარიძე

ფონეტიკური სიმბოლიზმი ძაღლების სახელებისა და მათი ვიზუალური მახასიათებლების მიხედვით

16.45 – ნინო ყოჩიშვილი

სქესის ლექსიკურად გამოსატვის შესაძლებლობები და სიტყვათშეხამებები ქართულ ენაში

17.00 – 18.00

დისკუსია

თეზისები

სინტაქსური კლასტერები ქართულში
SYNTACTIC CLUSTERS IN GEORGIAN

რუსუდან ასათიანი
Rusudan Asatiani

ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
Ivane Javakhishvili Tbilisi State University

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი
Faculty of Humanities

საკვანძო სიტყვები: ფუზიური ენები, ფუნქციური გრამატიკა,
ქართული ენა, სინტაქსური კლასტერები
Keywords: fusional languages, functional grammar, Georgian,
syntactic clusters

ორი ან მეტი ენობრივი ნიშნის ფორმათა ერთობლივი გამოყენება ერთი მნიშვნელობის გადმოსაცემად ენობრივ ნიშანთა შერწყმის, ფუზიის სპეციფიკური შემთხვევაა. ასეთი შემთხვევები, ძირითადად, დასტურდება ე.წ. ფლექსიურ (=ფუზიურ) ენებში.

ამ ტიპის შემთხვევებში მიზანშეწონილია ნიშანთა კომპლექსებზე საუბარი: ერთი ფუნქციით გამოყენებულ რამდენიმე ენობრივ ნიშანს შეიძლება ვუნოდოთ **ფუნქციური კლასტერი**.

ასეთი კლასტერული ნიშნები შეიძლება ფუნქციონირებდნენ ნებისმიერ ენობრივ – როგორც ფონოლოგიურ, ისე მორფოლოგიურ თუ სინტაქსურ – დონეზე.

მოხსენებაში არგუმენტირებულია ქართული ენის ორი მორფოსინტაქსური კონსტრუქციის სინტაქსურ კლასტერებად კვალიფიკაციის მიზანშეწონილობა:

- 1) დანართმსაზღვრელიანი საკუთარი სახელი ← → {**საკ. სახელი, დანართი**}

მაგ.: *ხოსტევან მეფე, დავით აღმაშენებელი, აღმოსავლეთ საქართველო, თბილის ქადაქი, ხუსუდან ასათიანი*; და სხვ.

- 2) კავშირებითი კილოს ზმნური ფორმები ← → {**მოდალური ნაწილაკი/ზმნა, ფაქტობრივი ზმნა**}

მაგ.: *უნდა დავწეხო; ნეგავ დავწეხო; მინდა დავწეხო; ვცდილობდი დამეწეხა; ფიქრობს დაწეხოს; კახგი იქნება დაწეხო; ვაჩაუდობდა დაეწეხა*; და სხვ.

Joint functional use of the forms of two or more linguistic signs to convey one meaning is a specific case of linguistic signs' fusion. Such signs are confirmed by the so-called inflectional (=fusion) languages.

In this case, talking about sign complexes that can be called clusters, is appropriate.

Such clusters function at any linguistic level – either phonological or morphological, and syntactic.

In Georgian, two morphosyntactic constructions can be qualified as such syntactic functional clusters.

- 1) Proper Name (N), Attached Adjunct (A) \leftrightarrow **{Proper Name, Attachment} (N)**

E.g.: *rostevan mepe* (The king Rostevan), *Davit Aghmashenebeli* (David the builder), *aghmosavlet Georgia* (The East Georgia), *Tbilis kalaki* (Tbilisi city), *Rusudan* (First Name) *Asatiani* (Surname); and others.

- 2) Subjunctive Verb Forms (V) \leftrightarrow **{Modal Particle/Verb, Factual Verb} (V)**

E.g.: *unda davc'eo* (I have to write); *net'av davc'ero* (I would like to write); *minda davc'ero* (I want to write); *vcdilobdi damec'era* (I tried to write); *pikrobs dac'eros* (He thinks to write); *k'argi ikneba dac'ero* (It would be good if you write); *varaudoabda daec'era* (He assumed to write); and others.

**ქართული ეთნოგრაფიის ისტორიიდან
– დეკანოზი იოანე მარგიანი (1872-1933 წწ.)**

**FROM THE HISTORY OF GEORGIAN ETHNOGRAPHY
– PROTOPRESBYTER IOANE MARGIANI (1872-1933)**

როზეტა გუჯეჯიანი

Rozeta Gujejiani

ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
Ivane Javakhishvili Tbilisi State University
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი
Faculty of Humanities
ეთნოლოგია-ანთროპოლოგიის ინსტიტუტი
Institute of Ethnology-Anthropology

საკვანძო სიტყვები: იოანე მარგიანი, საქართველო, სვანეთი,
ეთნოგრაფია

Keywords: Ioane Margiani, Georgia, Svaneti, Ethnography

დეკანოზ იოანე მარგიანის (1872-1933 წწ.) მრავალმხრივი სასულიერო და საზოგადო მოღვაწეობის ესა თუ ის ასპექტი დღემდე ინვევს მეცნიერების სხვადასხვა დარგის წარმომადგენლის, მათ შორის ეთნოლოგთა, ინტერესს. დეკანოზ იოანეს მნიშვნელოვანი წვლილი აქვს შეტანილი ქართული ეთნოგრაფიის განვითარებაში. მისი პუბლიცისტიკის დიდი ნაწილი სვანეთისა და ლეჩხუმის ეთნოგრაფიული აღწერილობებია.

დეკანოზი მარგიანი საქართველოსთვის მეტად მძიმე პერიოდში მოღვაწეობდა (XIX საუკუნის ბოლო, XX ს-ის პირველი მეოთხედი). ის ერთგულად მიუყვებოდა გაბრიელ ეპისკოპოსისა და ილია ჭავჭავაძის მიერ დასახულ გეზს და ეროვნულ-განმათავისუფლებელი იდეების აღორძინებას ემსახურებოდა.

ივანე მარგიანი დაიბადა 1872 წელს ზემო სვანეთში, მულახის თემის სოფელ მუჟალში მღვდლის ოჯახში; სწავლობდა ქუთაისსა და ტფილისში. 1890 წელს თბილისის სასულიერო სემინარიაში ჩააბარა, მაგრამ სემინარიის მეოთხე კურსიდან სწავლა შეწყვიტა და ქუთაისის საოლქო სასამართლოში დაიწყო მუშაობა. 1895 წლიდან მასწავლებლობდა იმერეთისა და სვანეთის სხვადასხვა სკოლაში (ბანოჯა, იფარი, მესტია). 1899 წელს იმერეთის ეპისკოპოსმა ბესარიონმა (დადიანი) დიაკვნად აკურთხა, ხოლო ამავე წლის 31 ოქტომბერს მღვდლად დაასხა ხელი და ბალსქვემო სვანეთში, ბეჩოს თემის ღვთისმშობლის მიძინების ტაძარში გაამწესა. სასულიერო მოღვაწეობის პარალელურად ის ბეჩოს სკოლაში მასწავლებლობდა.

მამა იოანე 1902 წელს ქვემო სვანეთში ჟახუნდარას წმიდა გიორგის ეკლესიაში გადაიყვანეს და ლაშხეთის ოლქის მთავარხუცესად დანიშნეს, ხოლო 1906 წელს ცაგერის ღვთისმშობლის მიძინების სახელობის ტაძრის წინამძღვრად განაწესეს და შემდეგ ლაშხეთისა და ცაგერის გაერთიანებული ოლქის მთავარხუცესად დანიშნეს. 1902-1905 წლებში მამა იოანე იმერეთის საეპარქიო სასწავლო კომიტეტის ლეჩხუმის სამაზრო განყოფილების წევრია და 1902-1909 წლებში ცაგერის ოლქის დეპუტატი. 1906-1912 წლებში მამა იოანე ცაგერის ორკლასიან სკოლაში, ერთკლასიან ქალთა სკოლაში და ცაგერის უმაღლეს დაწყებით ოთხკლასიან

სასწავლებელში საღვთო სჯულს ასწავლიდა. 1913 წლის 23 დეკემბერს მამა იოანეს დეკანოზის წოდება მიენიჭა. მისი მოღვაწეობის პერიოდში აშენდა ოთხი ქვის ეკლესია და განახლდა ცხრა ეკლესია.

1906 წლიდან დეკანოზი იოანე „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ ქუთაისის განყოფილების წევრია. იხსენიება საზოგადოების ანგარიშებსა და ოქმებში.

ამავე დროს, დეკანოზი იოანე იხსენიება სხვადასხვა მეცნიერისა და მოგზაურის დღიურებსა და მოგონებებში, რადგანც ის უშურველად მასპინძლობდა ლეჩხუმისა და სვანეთის ყოფითა და კულტურით დაინტერესებულ მკვლევარ-მოგზაურებს. აცნობდა მათ ადგილობრივ კულტურასა და პრობლემატიკას.

სასულიერო და პედაგოგიურ მოღვაწეობასთან ერთად, დეკანოზი იოანე მარგიანი აქტიურად თანამშრომლობდა ეროვნული სულისკვეთების მქონე ქართულ პერიოდულ გამოცემებთან („ივერია“, „მოამბე“, „ცნობის ფურცელი“, „მოგზაური“, „მწყემსი“, „შინაური საქმეები“...). მისი ყოველი სტატია თუ ნაშრომი ეროვნული თვალთახედვითაა გამორჩეული. ის მხარში ედგა სასიკეთო საზოგადოებრივ ნამოწყებებს და ეწინააღმდეგებოდა ანტიქართულ და ანტირელიგიურ ტენდენციებს, რითაც ხასიათდებოდა XX საუკუნის დასაწყისი.

საბჭოთა ოკუპაციის შემდეგ რეპრესირებული ივანე მარგიანი ეწეოდა ქართული (სვანური) ჯიშის ფუტკრის პოპულარიზაციას, სათავეში ედგა ცაგერის განათლების განყოფილებას, ბარიტის წარმოების საქმეს, 1928 წელს დააარსა ზემო სვანეთის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი, მოიძია, თავი მოუყარა, აღადგინა და დაკარგვას გადაარჩინა მრავალი ძველქართული (სვანური) ცეკვა და სიმღერა, მათ შორის საეკლესიო საგალობლებიც.

1931 წელს ივანე მარგიანი დააპატიმრეს. რეპრესიების სიმძიმე იწვნია მისმა ოჯახმაც. ქვეყნის თავისუფლების დაკარგვითა და ღვთისმსახურების აკრძალვით გამოწვეულმა სევდამ ივანე მარგიანის ჯანმრთელობა მკვეთრად შეარყია. ის 1933 წელს 61 წლის ასაკში გარდაიცვალა.

ქართული ეთნოლოგიის ისტორიისათვის ფასდაუდებელია დეკანოზ იოანე მარგიანის პუბლიცისტიკა, რომლის ერთი ნაწილი წმინდა ეთნოგრაფიული აღწერილობებია, ხოლო მეორე ნაწილი ასახავს საზოგადოებრივი ცხოვრების მოტივებს, საჭირობორტო საკითხებსა და ზოგად ტენდენციებს და ეს ინფორმაცია ძვირფასია იმდროინდელი საზოგადოებრივი აზრის ისტორიის რეკონსტრუირებისათვის. მასალა გაბნეულია თანადროულ პერიოდულ გამოცემებში. ეთნოგრაფიული შინაარსის წერილების ნაწილი გამოცემულია ჩვენს დროშიც. დეკანოზ იოანე მარგიანის ცხოვრებისა და მოღვაწეობის გამომზეურების მხრივ ფასდაუდებელია მისი შვილიშვილის თამაზ ლეჟავას მონოგრაფია.

განვიხილოთ დეკანოზ იოანე მარგიანის ეთნოგრაფიული მემკვიდრეობის ძირითადი ვექტორები:

დეკანოზ მარგიანის ეთნოგრაფიული წერილები სიღრმისეული, დეტალური აღწერილობებია. დეკანოზი კარგად იცნობს მთელ სვანეთს: ბალსზემოს, ბალსქვემოსა და ქვემო სვანეთს, აგრეთვე, ლეჩხუმს. ამიტომაც ხშირად ერთი რომელიმე ეთნოგრაფიული ფაქტის აღწერისას, გვთავაზობს სამივე მხარის ეთნოგრაფიულ მასალას. ის აღწერს სვანეთის ხალხური რელიგიური ცხოვრების დეტალებს და ძირისძირამდე სწვდება ყოველი ქართული (სვანური) საწესჩვეულებო რიტუალის ქვეშარტ ქრისტიანულ არსს; განსაკუთრებით საყურადღებოა მისი ნაშრომი „პაპის“/ „ბაპის“ ინსტიტუტის შესახებ, ხალხურ დღეობათა აღწერილობანი, მათი ცალკეული ვარიაციები, საწესჩვეულებო რიტუალები, ხალხური ტერმინოლოგია და სხვ. ამავე დროს, დეკანოზი იოანე მარგიანი აღწერს სვანურ ჩვეულებით სამართალსაც: წარმოაჩენს სვანური ჩვეულებითი სამართლის იმ დანაშრევებს, რომლებიც ძველქართული ფეოდალური ხანის საერო და კანონიკური პოსტულატებითაა ნასაზრდოები. ის არ იფარგლება სულიერი და სოციონორმატიული კულტურის კვლევით, აღწერს მატერიალური ყოფის საგულისხმო ნიუანსებსაც. აღსანიშნავია, რომ დეკანოზი იოანე მარგიანი ხატოვნადაც გვისურათებს სვანეთის ყოფით კულტურასაც და ხშირად იუმორისტული პასაუებით გვიხატავს ქართველი მთიელების (სვანების) ხალხური მენტალობის ამა თუ იმ

ნიშან-თვისებას. ამ მხრივ, ფრიად საყურადღებოა მისი მხატვრული შემოქმედებაც, რომელიც დოკუმენტური პროზის ნიმუშებია.

საყურადღებოა დეკანოზ იოანე მარგიანის მოღვაწეობის კიდევ ერთი კონკრეტული ასპექტი – ბრძოლა ქართული იდენტობის გადარჩენისათვის სვანეთში: 1. იოანე მარგიანი დაულალავად ცდილობს სვანეთის სკოლებში ქართული ენის სწავლების უფლების მოპოვებასა და შენარჩუნებას; 2. ის მეცნიერულად ასაბუთებს, რომ სვანებისათვის სწორედ ქართულია მშობლიური, სამნიგნობრო და საეკლესიო ენა; 3. იბრძვის სვანეთის ეკლესიებსა და სკოლებში ღვთის სჯულის სლავურ გრაფიკას მორგებული სვანური კილოებით სწავლების წინააღმდეგ; 4. ლექსიკოგრაფთა ყურადღებას მიაპყრობს სვანურ კილოებს და მიუთითებს, რომ სალიტერატურო ქართულში უკვე დაკარგული ძველქართული სიტყვების, მათ შორის სახარებისეული ტერმინების, მოძიება სწორედ სვანურშია შესაძლებელი; 5. მისი დაკვირვებით, ქართული ენის სვანური კილოებისა და ქართული სალიტერატურო ენის შედარება უნდა მოხდეს არა XIX საუკუნის მიწურულის გამარტივებული და გადარიბებული ქართულის მიხედვით, არამედ ძველი ქართული ენის საფუძველზე.

დეკანოზ იოანე მარგიანს ღირსეული ადგილი უკავია ქართველ სასულიერო და საზოგადო მოღვაწეთა შორის. მისი სტატიების მნიშვნელობა დღითიდღე იზრდება, რადგანაც მის მიერ აღწერილი ეთნოგრაფიული ფაქტების ნაწილი ჩვენი დროისათვის უკვე გამქრალია, ნაწილიც ტრანსფორმირებულია, რაც თანამედროვე მკვლევრისათვის დეკანოზ იოანე მარგიანის ეთნოგრაფიულ მემკვიდრეობას უძვირფასეს საისტორიო წყაროდ აქცევს.

The numerous aspects of Protopresbyter Ioane Margiani's (1872-1933) multi-faceted religious and public activity still arouses the interest of representatives of various academic fields, including ethnologists. Protopresbyter Ioane has made a significant contribution to the development of Georgian ethnography. A large part of his writings is ethnographic descriptions of Svaneti and Lechkhumi.

Protopresbyter Margiani worked in a very difficult period for Georgia (the end of the 19th century, the first quarter of the 20th century). He faithfully followed the path set by Bishop Gabriel and Ilia Chavchavadze and served the revival of national liberation ideas.

Ivane Margiani was born in 1872 in Zemo Svaneti, in the village of Muzhali, Mulakhi community, in the family of a priest. He studied in Kutaisi and Tbilisi. In 1890, he entered the Tbilisi Theological Seminary, but he stopped studying in the fourth year of the seminary and started working at the Kutaisi District Court. From 1895 he taught in different schools of Imereti and Svaneti (Banoja, Ifari, Mestia). In 1899, Bishop Bessarion (Dadiani) of Imereti consecrated him as a protopresbyter, and on October 31 of the same year, he was ordained in the Church of the Assumption of the Virgin in Becho community in Balskvemo Svaneti as a priest. In parallel with his clerical work, he taught at the school in Becho.

In 1902, Father Ioane was transferred to the church of St. George in Zhakhundara in Kvemo (Lower) Svaneti and was appointed as the archpriest of Lashkheti district. In 1906, he was appointed as the head of the Assumption Cathedral of Tsageri, and then as the archpriest of the united district of Lashkheti and Tsageri. In 1902-1905, Father Ioane was a member of the Lechkhumi parish division of Imereti Diocesan Education Committee, and in 1902-1909 he served as a deputy of Tsageri district. In 1906-1912, Father Ioane taught the Holy Scriptures in Tsageri's two-class school, one-class women's school and Tsageri's four-class higher elementary school. On December 23, 1913, Father John was given the title of protopresbyter. During his tenure, four stone churches were built and nine churches were renovated.

Since 1906, deacon Ioane has been a member of the Kutaisi branch of the Society for Spreading Literacy among Georgians, mentioned in Society reports and protocols.

At the same time, Protopresbyter Ioane is mentioned in the diaries and memories of various scientists and travellers, because he willingly hosted researchers and travellers interested in everyday life and culture of Lechkhumi and Svaneti. He introduced them the local culture and problems.

Along with his clerical and pedagogical work, protopresbyter Ioane Margiani actively cooperated with Georgian periodicals of national trend ("Iveria", "Moambe", "Tsnobis Purtseli", "Mogzauri", "Metskhvare", "Shinauri Sakmeebi"...). Each article or work of his is outstanding from a national point of view. He supported good public initiatives and opposed the anti-Georgian and anti-religious trends that characterized the beginning of the 20th century.

Ioane Margiani, who was repressed after the Soviet occupation, promoted the Georgian (Svan) breed of bees, headed the Tsageri education department, barite production, founded the Zemo Svaneti song and dance ensemble in 1928, searched for, gathered, restored and saved many ancient Georgian (Svan) dances and songs, including chants.

In 1931, Ioane Margiani was arrested. His family has also suffered from the severity of the repressions. The sadness caused by the loss of the country's freedom and the prohibition of religious services seriously undermined Ioane Margiani's health. He died in 1933 at the age of 61.

The publications of Protopresbyter Ioane Margiani is invaluable for the history of Georgian ethnology, one part of which are pure ethnographic descriptions, and the other part reflects the motives of public life, pressing issues and general tendencies, and this information is valuable for reconstructing the history of public opinion at that time. The material is scattered in his contemporary periodicals. Some of the works of ethnographic content have been published even in our time. The monograph of his grandson Tamaz Lezhava is invaluable in terms of revealing the life and work of Protopresbyter Ioane Margiani.

Let's consider the main vectors of ethnographic accuracy of Protopresbyter Ioane Margiani:

Protopresbyter Margiani's ethnographic writings are in-depth, with detailed descriptions. The Protopresbyter knows well the whole Svaneti: Balszemo, Balskvemo and Kvemo Svaneti, as well as Lechkhumi. That's why, often when he describes an ethnographic fact, he offers the ethnographic material of all three regions. He describes the details of the folk religious life of Svaneti and goes to the root of the true Christian essence of every Georgian (Svan) ritual; Especially noteworthy is his

work on the institution of “Pope”, descriptions of folk holidays, their individual varieties, customary rituals, folk terminology, etc. At the same time Protopresbyter Ioane Margiani also describes Svan customary law: he presents those fragments of Svan customary law, which are nourished by the secular and canonical postulates of the ancient Georgian feudal times. He is not limited to the study of spiritual and socio normative culture, he also describes the significant nuances of material culture. It is worth noting that Protopresbyter Ioane Margiani vividly depicts the everyday life culture of Svaneti and often uses humorous passages to describe some characteristics of the folk mentality of the Georgian mountaineers (Svans). In this regard, his artistic creations, which are examples of documentary prose, are very noteworthy.

Another specific aspect of Protopresbyter Ioane Margiani’s work is the struggle for the survival of the Georgian identity in Svaneti: 1. Ioane Margiani tirelessly tries to obtain and maintain the right to teach the Georgian language in Svaneti schools; 2. He scientifically substantiates that Georgian is the native, scriptural and church language for the Svans; 3. Fights against teaching in Svaneti churches and schools the Svan symbols adapted to the Slavic graphics; 4. He draws the attention of lexicographers to Svan speech and indicates that it is possible to find there old Georgian words, including gospel terms, which have already been lost in literary Georgian; 5. According to his observation, the comparison between the Svan speech of the Georgian language and the Georgian literary language should be made not according to the simplified and impoverished Georgian of the end of the 19th century, but on the basis of the old Georgian language.

Protopresbyter Ioane Margiani has a worthy place among Georgian religious and public figures. The importance of his articles is increasing day by day, because some of the ethnographic facts described by him have already disappeared and some have been transformed, which makes the ethnographic legacy of Protopresbyter Ioane Margiani the most valuable historical source for the modern researcher.

სისტემური ანალოგიებისა და იმიტაციის
როლი ბავშვის მეტყველების განვითარებაში

THE ROLE OF SYSTEMATIC ANALOGIES AND IMITATION
IN CHILD SPEECH DEVELOPMENT

ნათია თავაძე

Natia Tavadze

ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
Ivane Javakhishvili Tbilisi State University

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი
Faculty of Humanities

საკვანძო სიტყვები: ანალოგია, იმიტაცია, მეტყველების
განვითარება, ბიჰევიორიზმი, ნატივიზმი

Keywords: analogy, imitation, speech development, behaviorism,
nativism

ბავშვების მეტყველების განვითარებაზე დაკვირვებისას ხშირად შევამჩნევთ, რომ ისინი თავად ქმნიან ახალ ფორმებს, რომლებიც სხვა სიტყვებთან შედარების გზით ანალოგიებითაა წარმოქმნილი. ანალოგიებით დაშვებული შეცდომების კვლევისას ყურადღება უნდა მივაქციოთ ბავშვის მეტყველების განვითარების შესახებ არსებულ მოსაზრებებს.

ბავშვის მიერ ენის ათვისებისა და მეტყველების განვითარების პრინციპების შესახებ მრავალი მეცნიერი გამოთქვამს მოსაზრებას. ერთმანეთს უპირისპირდება ორი ძირითადი მიმდინარეობა: ბიჰევიორისტული და ნატივისტური (ბერკი: 2010). პირველი მოი-აზრებს იმ შეხედულებას, რომლის მიხედვითაც ბავშვები ენის ათვისებისა და შემდეგ უკვე მეტყველების განვითარების პროცესში იმიტაციის ხერხს მიმართავენ. ახალ სიტყვებსა და კონსტრუქციებს ბავშვები ქმნიან უფროსების მეტყველებაზე დაკვირვებით, მოს-ენის შედეგად (Tomasello, Hardecker: 2006). ისინი იმახსოვრებენ უფროსების მიერ შესწორებულ ფორმებს, ასევე ყურადღებას ამახვილებენ ისეთ შენიშვნებზე, რომლებიც უშუალოდ მათკენ არაა მიმართული და ამ დაკვირვებების (იმიტაციის) საშუალებით ასწორებენ თავიანთ მეტყველებას (Akhtar, Floor: 2006; Carpenter, Akhtar, Tomasello: 1998). მეორე, ნატივისტური, შეხედულება ძირი-თადად ნოამ ჩომსკის უნივერსალურ გრამატიკას ეფუძნება (ჩომსკი: 1976, 2006, 2015) და მოიაზრებს შემდეგს: ენის მექანიზმი თანდაყოლილია და ამოტვიფრულია ჩვენს გონებაში. ბავშვები იბადებიან თანდაყოლილი ინფორმაციით ენობრივი სტრუქტურის შესახებ. ეს ინფორმაცია უნივერსალურია ყველა ბავშვისთვის და შემდეგ იმ ენის სტრუქტურის მიხედვით იწყებს განვითარებას, რომელზეც ბავშვი ამეტყველდება. ბავშვები გარკვეულ ენობრივ ერთეულებს სწავლობენ, მაგრამ შემდეგ თვითონ დამოუკიდებლად ქმნიან ახალ ფორმებს თავიანთ გონებაში უკვე არსებული მოდელებისა და სტრუქტურების გამოყენებით.

ამ ორ თეორიაზე დაკვირვებით ჩნდება კითხვა: ბავშვები ახალ ფორმებს იმიტაციის საშუალებით ქმნიან თუ ენის სტრუქტურაზე დაკვირვებით? ამ კითხვაზე პასუხის გაცემას შევეცდებით 3

წლის დემნას მიერ შედგენილი ახალი ფორმების განხილვით, როგორცაა, მაგალითად – წაიგანე.

ქართულისთვის დამახასიათებელია ზმნისწინით მიმართულების ცვლილება, დემნა ამას ამჩნევს ისეთ ფორმებში, როგორცაა – მოვედი და წავედი, და ამის ანალოგიით ქმნის მოიგანეს საპირისპირო მიმართულების მქონე სიტყვას – წაიგანე.

გამოჩნდა ისიც, რომ როდესაც დემნა ასეთი ანალოგიებით ქმნის ახალ ფორმებს, იყენებს მას და შემდეგ იმავე სიტყვას სწორი ფორმით ისმენს, სწორედ იმიტაციის საშუალებით თავად ანაცვლებს მათ. მაგალითად, მის ლექსიკონში იყო სიტყვა – დამაფუხე (დამახურეს ანალოგიით), მას შემდეგ, რაც ერთ-ერთი საუბრისას მოისმინა სიტყვა დახუხება, დამაფუხე ჩაანაცვლა – დამახუხე ფორმით.

ამ და სხვა რამდენიმე მაგალითზე დაყრდნობით, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ბავშვები ენის შესწავლის პროცესში თავდაპირველად ითვისებენ ენის სისტემას, სიტყვებს არგებენ ამ სისტემას და ანალოგიებით ქმნიან ახალ ფორმებს. ამის შემდეგ, მეტყველების განვითარების დახვეწის პროცესში, ბავშვები მიმართავენ იმიტაციასაც და ასე ასწორებენ თავიანთ შექმნილ ფორმებს. შეიძლება ითქვას, რომ სისტემური ანალოგია უსწრებს იმიტაციის ეტაპს.

When observing a child's speech development, we often notice that they create new forms generated through analogies -- comparing them with other words. When studying errors made through analogies, attention should be paid to existing viewpoints on developing a child's speech.

Many scholars express their viewpoints on language acquisition and speech development principles in children. Two main approaches oppose each other: behaviourist and nativist (berk: 2010). The former suggests that children adopt an imitation method in language acquisition and later speech development processes. They create new words and constructions based on what they hear from adults (Tomasello, Hardecker 2006). They remember the corrected forms provided by

adults, pay attention to remarks not directly addressed to them, and adjust their speech through these observations (imitation) (Akhtar, Floor 2006; Carpenter, Akhtar, Tomasello 1998). The latter, the nativist view, is mainly based on Noam Chomsky's theory of universal grammar (Chomsky 1965, 1976, 2006), suggesting that the language mechanism is innate and embedded in our minds. Children are born with inherent knowledge about linguistic structures. This information is universal for all children and, thus, is at the beginning of the developing process -- according to the language structure of the language they start speaking. Children learn certain linguistic units but then independently create new forms using models and structures already presented in their minds.

Observing these two theories raises the question: do children create new forms through imitation or by observing language structure? We will attempt to answer this question by examining new forms created by 3-year-old Demna, such as *tsaitane* (a hypothetical form meaning "carry away").

In Georgian, preverbs indicate the direction of action. Demna notices this in forms like *movedi* ("I came") and *tsavedi* ("I went") and, by analogy, creates *tsaitane*, a word implying the opposite direction of *moitane* ("bring it here").

It has also been observed that when Demna creates new forms by analogy, he uses them, and then upon hearing the correct form, replaces his version through imitation. For example, he initially used *damapure* (based on *damakhure* for "cover me"), and after hearing the word *dakhureba* ("to close" or "cover"), he replaced *damapure* with the correct form *damakhure*.

Based on this and a few other examples, we can say that during language acquisition children initially internalize the language system, adapt words to this system, and create new forms by analogy. Later, in the refinement of their speech development, children shift to imitation and use it to correct the forms they created. It can be said that systematic analogies and imitation are successive processes.

[ქ]-ს გარეშის კიდევ ერთი შემთხვევა ფშავურში
ANOTHER INSTANCE OF THE OCCURRENCE
OF [j] IN THE PSHAVI DIALECT

მარინე ივანიშვილი

Marine Ivanishvili

ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
Ivane Javakhishvili Tbilisi State University

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი
Faculty of Humanities

საკვანძო სიტყვები: ფონეტიკა, ფშავური, პოეზია
Keywords: phonetics; Pshavi dialect; poetry

პოეზიაში ფონეტიკური, მორფოლოგიური და სინტაქსური ქსოვილის მნიშვნელობა ერწყმის და ეცილება კიდევ სიტყვიერი ტროპების მხატვრულ როლს, არაიშვიათად ბატონდება ლექსში და გადაიქცევა მისი ფარული სიმბოლიკის მთავარ და ერთადერთ გამომხატველ კომპონენტად (Jakobson 1961).

ქართული (ქართველური) ლექსის სტრუქტურა ტონურ-სილაბურია, რაც იმას ნიშნავს, რომ ემყარება მახვილთა დასმის წესებსა და მარცვალთა რაოდენობის თანაბრობას ტაეპში, ანუ მთავარ მაორგანიზებელ საწყისს წარმოადგენს გარკვეული მარცვალთა რაოდენობის მუხლთა ურთიერთშეხამება (მიწყობა) და მათი კანონზომიერი მონაცვლეობა სალექსო სტრიქონებში (გუდავა 1975). ამ თანაბრობის დასაცავად პოეტური ენა იყენებს როგორც ფონეტიკურ-ფონოლოგიურ, ისე ბუნებრივი ენის მორფოლოგიურ და სინტაქსურ რესურსს.

ქართული მთის პოეზია მონუმენტურად გამოკვეთილ ლაპიდარულ წარწერებს ჰგავს, გამორჩეულს თავისი სიღრმით, სინატიფით, მშვენიერებით... ფშაური ფოლკლორის ერთი ასეთი ნიმუშია ლექსი „არაგვს“ (ტექსტი აღებულია გიორგი მთაწმიდელის სახელობის გალობის უნივერსიტეტის „ფოლკლორული მოგზაურობა ფშავში“ მასალებიდან, ნინო ნაყურის შესრულება):

„დადეგ არაგვო, მიაძბე,
ან ვინ რა დაგაბარაა.
შენ პირს არავინ მოდგაა
ხელ-პირ არ დაიბანაა.
არ ატირდაა ბრალადა,
ცრემლებ არ ჩამოჰყარაა.
ან როგორ არი ჩემ ფშავი,
ან ხალხ ვინ როგორ არიან.
დადეგ, არაგვო, მიაძბე,
ან ვინ რა დაგაბარაა.“

ყურადღებას იქცევს კლაუზულა – სალექსო ტაეპის ბოლო განმეორებული მარცვლები: ა_{53მხ} +ფ_{ხმოვანთგასაყარი} +ა_{კითხვითი ნანილაკი}*

-ა კითხვითობის გამომხატველი ნაწილაკია (*-ა კითხვითი ნაწილაკი რეკონსტრუირდება საერთო-ქართველურ დონეზეც), რომელიც დაესმის კითხვის ქვეშ დაყენებულ სიტყვას და მთელ წინადადებას აძლევს კითხვით მნიშვნელობას.

-ა-ზე დაბოლოებულ სიტყვასა და კითხვითობის -ა ნაწილაკს შორის ვითარდება *ე*, რომელიც ფშაურის ფონოლოგიურ ინვენტარში კვალიფიცირებულია შუაენისმიერ სპირანტად. *ე-ს* დამოუკიდებელი ფონემური ღირებულება არა აქვს. ის სპირანტების *ს-სა* და *ჰ-ს* ვარიანტია პრეფიქსულ მორფემათა მიჯნაზე (ცოცანიძე 1978). შდრ. კახურ დიალექტში: *მისღევს > მიბღევს (ასიმიდაცია) > მიღღევს*.

ე წარმოითქმის ენის შუა ნაწილის მიახლოებით შუა სასასთან. თუ ეს მიახლოება იმდენად დიდია, რომ გამომავალი ჰაერის ერთგვარ დაბრკოლებას წარმოადგენს, მაშინ მას სპირანტული ხასიათი ექნება. გ. ცოცანიძე თავის მონოგრაფიაში „ფშაური დიალექტი“ (1978) დაწვრილებით განიხილავს *ე-ის* გამოვლენის ფაქტებს პრეფიქსულ მორფემათა მიჯნაზე და იძლევა შესაბამის ცხრილს.

ე – პალატალური აპროქსიმანტი, იწარმოება შუაენის მიახლოებით მაგარ სასასთან. ლიტერატურაში იხსენიებენ როგორც გლაიდს – მინიშნებაა, რომ გარდამავალი ბგერაა, მაგალითად, დიფთონგში; მეორე სახელწოდებაა „ნახევარხმოვანი“ – იგულისხმება, რომ მიუხედავად ვოკალური ბუნებისა და საკმაოდ ავინროებისა ტურბულენტური ჩქამი ან არ წარმოიქმნება, ან ძალიან სუსტია და, ამავე დროს, მარცვალს არ ქმნის.

განსახილველი ლექსის ტექსტი საშუალებას იძლევა ფშაურში *ე-ის* დისტრიბუციის სურათი შეივსოს მისი სუფიქსურ მიმდევრობაში გამოჩენის პოზიციით. საინტერესოა, რომ ფშაურის მსგავსი ვითარება გვაქვს გუდამაყრულსა და მთიულურში, აქაც -ა-ზე გათავებული სიტყვის შემდეგ ორ -ა-ს შორის ვითარდება *ე*: *მოვიღადა, მოკვდადა, შენადა...* მას მახვილი არა აქვს, არც წინა სიტყვის უკანასკნელ ხმოვანს. მოხეურში კითხვა ინტონაციით გამოიხატება (შანიძე 1989).

In poetry, the significance of phonetic, morphological, and syntactic structure is interwoven, sometimes even overshadowing the artistic role of verbal tropes. This structure often dominates the poem, transforming into the primary, and sometimes sole, expressive element of its underlying symbolism (Jakobson 1961).

The structure of the Georgian (Kartvelian) poem is tonal-syllabic, meaning it is governed by rules concerning syllable placement and the equality of syllable counts within each line. The main organizing principle is the arrangement and regular alternation of verses with a specific syllable count (Gudava 1975). To maintain this balance, poetic language draws on phonetic-phonological, morphological, and syntactic resources of the natural language.

Georgian mountain poetry resembles monumental lapidary inscriptions, marked by its depth, delicacy, and beauty. A notable example of Pshavi folklore is the poem *Aragvs*, sourced from materials of the Giorgi Mtatsmideli Chanting University's 'Folklore Trip to Pshav' and performed by Nino Nakeuri. Analyzing this poetic text attention is drawn to the clause – the final repeated syllables: **a**_{S3Sg.} + **j**_{conjunct vowel} + **a**_{interrogative particle}*

-a is an interrogative particle (a similar particle is also reconstructed at the common Kartvelian level) that appears on interrogative words, imparting a questioning tone to the entire sentence.

ɔ[j] appears between a word ending in -a and the particle -a, functioning as a midlingual spirant in the phonological system of Pshavi dialect. It holds no independent phonemic value but serves as a variant of the spirants *s* and *h* at the boundary of prefix morphemes (Tsotsanidze 1978). cf. in Kakhetian dialect: *misdevs* > *mizdevs* (assimilation) > *mijdevs*.

ɔ[j] does not form a syllable; it is articulated with the middle part of the tongue close to the hard palate. When this constriction creates resistance to the outgoing airflow, it takes on a spirant character. In his monograph *Pshavi Dialect* (1978), G. Tsotsanidze examines the occurrence of ɔ[j] at the boundary of prefix morphemes in detail and provides a corresponding table.

ɔ[j] – a palatal approximant, produced by bringing the tongue closer to the soft palate. In the scientific literature, it is often referred to as a “glide”, which suggests it is a transitional sound, as in a diphthong. Another term for it is “semi-vowel”, indicating that, despite its vocalic quality and significant narrowing, the turbulent sound is either not formed or is very weak and does not create a syllable.

The poem’s text helps illustrate the distribution of ɔ[j] in Pshavi dialect, particularly in its position within suffix sequences. Interestingly, Gudamakari and Mtiuleti dialects show a similar pattern: after a word ending in -a, ɔ[j] appears between two instances of -a, neither serving as a full syllable nor as the final vowel of the preceding word (მოვიდაა, მოკვიდაა, შენაა...). In Mokhevi dialect, however, questions are marked by intonation rather than by the use of ɔ[j] (Shanidze 1989).

ქრისტოლოგიური ტერმინი ბაიობა მეგრულში

THE CHRISTIAN TERM *BAIOBA* / “PALM SUNDAY”
IN MEGRELIAN

მაია ლომია

Maia Lomia

ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
Ivane Javakhishvili Tbilisi State University

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი
Faculty of Humanities

საკვანძო სიტყვები: ქრისტოლოგიური ტერმინი, ბაიობა, ბზობა,
მეგრული ენა

Keywords: the christian term, baioba, bzoba, Megrelian language

მეგრული „ბაიობა“ და ქართული „ბზობა“ -ობა სუფიქსით ნაწარმოები სემანტიკურად ტოლფარდი ტერმინოლოგიური ლექსემებია. ქართულში მცენარის სახელწოდება – ბზა და მისგან მომდინარე ტერმინი – ბზობა (< *ბზა-ობა) სრულ თანხვედრაშია ერთმანეთთან. ამგვარი კანონზომიერების მიხედვით, მეგრულში *ზაკად-ობა უნდა გვექნოდა, რადგან მეგრული ზაკადი იგივეა, რაც ქართული ბზა. ცნობილია, რომ ძველ ქართულ ტექსტებში ლექსემა „ბაია“ ფინიკის პალმის რტოებს აღნიშნავდა, ხოლო „ბაიობა“ და „ბზობა“ პარალელურად გამოიყენებოდა ბზობის დღესასწაულის აღსანიშნავად. რაკი „ბაიობა“ ბზობის მნიშვნელობით გვხვდება სხვა ქართველურ ენებშიც (კერძოდ, მეგრულსა და სვანურში), სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულია თვალსაზრისი, რომ ამ ენებში აღნიშნული ტერმინი უნდა შესულიყო ძველი ქართული ენიდან; თუმცა ასევე შენიშნულია ისიც, რომ „ბაია“ ყვითელყვავილეებიანი ბალახოვანი მცენარეა, რომელიც გაზაფხულზე ყვავის; ამიტომ ტერმინი „ბაიობა“ შესაძლებელია დამოუკიდებლად ჩამოყალიბებულიყო და ომონიმიასთან გვექონდეს საქმე.

მოხსენების მიზანია ამ უკანასკნელი თვალსაზრისის გაღრმავება და იმის წარმოჩენა, მინდვრის ყვავილის სახელდებიდან მომდინარე ტერმინი ბაიობა (← ბაია) როგორ და რატომ დაუკავშირდა ბზობის დღესასწაულის აღნიშვნას.

წინარექრისტიანულ ხანაში გაზაფხულზე სამეგრელოში ფართოდ აღინიშნებოდა ბუნების გამოღვიძების, სიცოცხლის მარადიულობის რიტუალი: ახალამოსული მწვანე ბალახით, ბაიას ყვავილებითა და სუროს ფოთლებით რთავდნენ საცხოვრებელი ოდა სახლის ფანჯრებს, ზალას, კიბეს. ქრისტიანული დღესასწაული „ბზობა“ „ბაიობის“ პერიოდს ემთხვევა და მას ემსგავსება კონცეპტუალურადაც; როგორც ჩანს, ამ გარემოებებმა შეუწყო ხელი წარმართული რიტუალის გადააზრებასა და „გაქრისტიანებას“. ზემოაღნიშნულ სარიტუალო ჩამონათვალს (ბალახი, ყვავილი, ფოთოლი) დაემატა მარადმწვანე მცენარე ბზა. ბზობის დღესასწაულზე სამეგრელოში დღესაც ბზასთან ერთად ხშირად ბაიას ყვავილიც მიაქვთ ეკლესიაში დასაკურთხებლად.

ამრიგად, ყოველივე ზემოთქმულის გათვალისწინებით, შეიძლება ითქვას, რომ „ბაიობა“ მეგრულში წარმართული დროიდან მომდინარეობს, ხოლო „ბზობის“ აღნიშვნა და ქრისტოლოგიური შინაარსით დატვირთვა მისთვის მეორეულია (შდრ.: სინათლის კულტის ტრანსფორმაცია და ახალი ქრისტოლოგიური ტერმინ „ნათლისღების“ მიღების გზა).

The Megrelian word *baioba* and Georgian *bzoba* both meaning “Palm Sunday” are semantically equal terminological lexemes formed by means of the suffix *-oba*. In Georgian, the name of the plant – *bza* “boxwood” and the derived term *bzoba* (< **bza-oba*) “Palm Sunday” are completely correlated (in Georgia, boxwood is used as an evergreen symbol instead of the palm). Based on this rule, in Megrelian, there should have been **zakal-oba*, since *zakali* means boxwood in Megrelian. It is well-known that in Old Georgian texts, the lexeme *baia* meant the branches of date palm, and the terms *baioba* and *bzoba* were used in parallel to denote Palm Sunday. Since *baioba* means Palm Sunday in other Kartvelian languages as well (namely, in Megrelian and Svan), scholars note that this term has penetrated into these languages from Old Georgian. However, scholars also note that *baia* “buttercup” is a grassy plant with yellow flowers which blooms in spring. Therefore, the term *baioba* could have developed independently, leading to homonymy.

The paper aims to prove the latter viewpoint and find out why the term *baioba* (← *baia*), denoting a wild flower, became related to Palm Sunday.

In the pre-Christian epoch, Megrelians celebrated the ritual of awakening of nature and eternal life. The windows, staircases and rooms were decorated with fresh green grass, wild buttercup flowers and ivy leaves. The Christian holiday Palm Sunday coincides with the period of *baioba* and is conceptually similar. As it seems, this has led to the “Christianization” of the above-mentioned pre-Christian ritual.

The above-mentioned list of ritual plants (grass, flowers, leaves) was enriched with the evergreen plant – boxwood. During Palm Sunday, alongside boxwood, Megrelians bring buttercup flowers to church.

Thus, based on the above-mentioned, we can say that *baioba* has been celebrated by Megrelians since pagan times, whereas the celebration of Palm Sunday and its Christian content is secondary (compare the transformation of the cult of light into a new Christian term *natlisyeba* – “Baptizing” (literally, granting of light).

**პერფექტულ ზმნათა სპეციფიკა სვანურ
სასიმღეროებში – ფორმათა აღრევა
თუ გენეზისი?**

**SPECIFIC FEATURES OF PERFECT VERBS IN SVAN SONGS
– MIXTURE OF FORMS OR GENESIS?**

ქეთევან მარგიანი
Ketevan Margiani

ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
Ivane Javakhishvili Tbilisi State University

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი
Faculty of Humanities

საკვანძო სიტყვები: გენეზისი, პრევერბი, განვითარების
ეტაპები

Keywords: genesis, preverb, stages of development

უპრევერბო | შედეგობითის (resp. ნამყოსრულის, | თურმეობითის)პრევერბიან ფორმათა ჩამოყალიბებას დაგადინამიკურებას სვანურში წინ უძლოდა გარდამავალი საფეხური უპრევერბო-უსუფიქსო ზმნების სახით, რომელთა **მთავარი ფუნქცია იყო ექსპერიენციულობა** (მარგიანი 2012). ერთი შეხედვით, ამ მოსაზრებას მხარს არ უჭერს სვანური სასიმღერო ტექსტების მონაცემები; მათში გაცილებით ხშირია უპრევერბო ფორმათა ხმარება, რომლებიც, კონტექსტის მიხედვით, ერთმნიშვნელოვნად უნახაობას გამოხატავენ. ხშირად ისინი გამოყენებულია პრევერბიანი, არაევიდენციალური და მომენტობრივი მოქმედების გამომხატველი ზმნების პარალელურადაც.

ჩვენს მოსაზრებას იმის შესახებ, რომ საანალიზო მწკრივის უპრევერბო ფორმები ექსპერიენციულნი არიან (მოქმედებას ადგილი ჰქონდა თუნდაც ერთხელ), პირდაპირ ეხმაურება გ. მაჭავარიანის მსჯელობა აორისტის შესახებ ძველ ქართულში (მოქმედების ერთჯერადობა-წყვეტილობის გამოკლებით, რაც მოცემულ შემთხვევაში ბუნებრივია): „შეიძლება ვიფიქროთ, რომ ძველი ქართული აორისტი მიუთითებდა წარსულში მომხდარ ფაქტზე, რომელსაც **ერთხელ ჰქონდა ადგილი**, ანუ, სხვანაირად რომ ვთქვათ, აორისტი გამოხატავდა წყვეტილ, ერთბაშ, ერთგზის ასპექტს. **პროცესის დამთავრებულობას თუ დაუმთავრებლობას არსებითი მნიშვნელობა არ ჰქონდა...**“ (მაჭავარიანი 1974:126-127; – ხაზი ჩვენია – ქ. მ.).

პერფექტულ ფორმათა ჩამოყალიბების სწორედ იგივე ეტაპი არის ასახული საანალიზო ზმნებში: მართალია, დღევანდელ სვანურში ანომალიურია წინადადება *ჩუ ოთღარღახ დოდ ი ჰებუდ, სგა ხაცადახ მეზგჳდთედსგა* (სვ. პოეზ. 1939:74,4) – „დაულალატებიათ დოლი და ჰებუდი, **(შე)ჰპარვიან** მოსახლეებს“, ვინაიდან, *ჩუ ოთღარღახ* არის მომენტობრივი და უნახავი აქტის გამომხატველი *ღაულარღახებიათ, შეჰახვაც, ცხადია, იმავე მნიშვნელობისა უნდა ყოფილიყო (სგა ახცადახ „შეჰპარვიან თურმე“*) და არა მოქმედების კონკრეტულ მომენტთან დროული მიმართების უქონელი, ექსპერიენციული მნიშვნელობისა (**სგა ხაცადახ** = „შენაპარები არიან“, თუნდაც ერთხელ).

ხალხური პოეზიის თუ სასიმღეროების მონაცემთა ანალიზისას გასათვალისწინებელია ის ფაქტიც, რომ ხალხურ პოეზიაში სხვადასხვა ეპოქის სიმღერათა ტექსტებია და ნაწილობრივ ესეც უნდა იყოს იმის მიზეზი, რომ ერთმანეთის გვერდით აღმოჩნდა ძველი (უპრევერბო) და შედარებით ახალი (პრევერბიანი) ფორმები, რაც დღევანდელი გადასახედიდან ერთგვარად ფორმათა „აღრევის“ შთაბეჭდილებას ტოვებს. თუმცა ეს მხოლოდ გვერდითი მოვლენაა და მასალის მასშტაბური ანალიზის პროცესში გადამწყვეტ მნიშვნელობას ვერ მივანიჭებთ.

კვლევამ აჩვენა, რომ **სწორედ სვანური სასიმღეროების ენა ნათელს ჰფენს ევიდენციალურ ფორმათა ფუნქციურ-გრამატიკული განვითარების გზას**: მას შემდეგ, რაც ევიდენციალობა (ამ შემთხვევაში უნახავი აქტი) სრულად, მორფემის დონეზე ჩამოყალიბდა სვანურში (III ეტაპი), უპრევერბო ფორმებმა ჩამოიცილეს უნახაობის მხოლოდ კონტექსტუალურად გამოხატვის ფუნქცია (II ეტაპი) და დაუბრუნდნენ საწყის მდგომარეობას (I ეტაპი) – ოდენ ექსპერიენციულობის გამოხატვას.

ევიდენციალობის თვალსაზრისით, სასიმღეროებში დადასტურებული ვითარება კი გვიჩვენებს გარდამავალ, შუალედურ ეტაპს პერფექტის უპრევერბო ფორმებიდან პრევერბიან ფორმებზე გადასვლის პროცესში. ქართული სალიტერატურო ენისგან განსხვავებით, სვანურმა ენამ, არქაულობის გვერდით, ამ შემთხვევაშიც გამოავლინა ინოვაციურობა და სრულიად გარკვევით, გრამატიკულად შემოსაზღვრა პრევერბიან და უპრევერბო ზმნათა ფუნქციები მესამე სერიაში.

The forms of Resultative I without a preverb (resp. Simple Past, Evidential I) gradually developed into dynamic forms in Svan. This process was preceded by an intermediate stage in the form of verbs without a preverb-suffix. **Their main function was to denote experience** (Margiani 2012). At a glance, this opinion is not supported by the texts of Svan songs, which frequently use forms without preverbs denoting, based on the context, unseen actions. They are often used in parallel

with the verbs having a preverb, denoting evidential and momentary actions.

The opinion that the forms without a preverb of the screeve under analysis are experiential (the action has occurred at least once) is directly supported by G. Machavariani's argument regarding the aorist in Old Georgian (with the exception of single, completed actions, which is quite natural in the given case): "It may be argued that the Old Georgian aorist pointed to the past fact **that occurred once**, in other words, the aorist expressed a single, completed action. **Whether the process was completed or not, was not of crucial importance**" (Machavariani 1974:126-127; – the bold type is made by the author – K. M.).

The same stage of development of perfect forms is reflected in the verbs under analysis: for modern Svan, the following sentence is anomalous: *ču otyalt'ax dol i hebud, sga xacadax mezgältejsga* (Svan Poetry 1939:74,4) – "they have betrayed Doli and Hebudi and stolen into the houses of the villagers". Since **ču otyalt'ax** (have betrayed) expresses a momentary unseen action, *stolen into* must have the same meaning (**sga axcadax** "stolen into") without denoting experience or time of the action (**sga xacadax** = "they have stolen into the village" – at least once).

When analyzing folk poetry and texts of songs, we should also take into account the fact that folk poetry embraces texts of different epochs. To a certain extent, this should be the reason for the simultaneous use of old forms (without a preverb) and new forms (with a preverb). In the contemporary situation, this parallel use leaves the impression of "mixture" of forms. However, this is only a side effect, and we cannot attach it a crucial importance in the process of large-scale analysis of the material.

Research has proved that **the language of Svan songs reveals the functional-grammatical development of the Svan evidential forms**: after evidentiality (in this case, the unseen action) was fully developed on the morphemic level in Svan (III stage), the forms without a preverb became devoid of the function of expressing unseen actions only based on the context (II stage) and returned to the initial stage (I stage) – expressing only the experience.

With regard to evidentiality, the Svan songs reflect an intermediate stage in the process of transition of perfect forms without a preverb into the forms with a preverb. Unlike the literary Georgian language, alongside with archaic features, Svan has revealed a certain innovation, as it draws a clear grammatical line between the functions of verbs with and without a preverb in the third series.

**გენდერული სტერეოტიპებით მოტივირებულ
ლექსემათა ერთი ჯგუფის შესახებ**

**A GROUP OF LEXEMES MOTIVATED BY GENDER
STEREOTYPES**

სალომე ომიადე

Salome Omiadze

ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
Ivane Javakhishvili Tbilisi State University

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი
Faculty of Humanities

საკვანძო სიტყვები: ქალური ქცევის მამაკაცის აღმნიშვნელი
სიტყვები, მამაკაცური ქცევის ქალის აღმნიშვნელი
სიტყვები, გენდერლინგვისტიკა, ანდროცენტრული
დისკურსი

Keywords: words denoting men with female features of character,
words denoting women with male features of character,
gender linguistics, androcentric discourse

საზოგადოების მიერ ისტორიულად შემუშავებული შეხედულებები იმის შესახებ, თუ როგორ უნდა იქცეოდნენ ქალები და, შესაბამისად, როგორი ქცევა მართებთ მამაკაცებს, ქმნის სისტემას, რომელიც დღეს გენდერული სტერეოტიპების სახელით არის ცნობილი. რადგან სამეტყველო ქცევა ადამიანის ზოგადი ქცევის მნიშვნელოვანი ნაწილია, გარკვეული წარმოდგენები და წინასწარგანწყობები ქალურ და მამაკაცურ მეტყველებასთან დაკავშირებითაც არსებობს. სწორედ ქალური და მამაკაცური დისკურსების აღწერა, მათ შორის გამოვლენილ განსხვავებათა კოგნიტიური ანალიზი არის გენდერლინგვისტიკურ კვლევათა ერთი ნაწილის მთავარი ამოცანა. ცხადია, გაბმულ მეტყველებაზე დაკვირვება მეტად ინფორმაციულია, თუმცა ზოგიერთ ცალკემდგომ სიტყვასაც შეუძლია გენდერულ სტერეოტიპებთან დაკავშირებული დისკურსი აღგვადგენინოს.

ქართულ ენასა და დიალექტებში, სასაუბრო და ჟარგონულ მეტყველებაში დასტურდება ლექსემები, რომლებიც ზემოაღნიშნულ წინასწარგანსაზღვრულობათა საპირისპირო ვითარებით არის მოტივირებული. ესენია ქალური ქცევის მამაკაცის აღმნიშვნელი სახელები და მამაკაცური ქცევის ქალის სახელმძებელი სიტყვები. ამ სიტყვათა ნაწილი წარმოქმნილია სახელის მარტივ ფუძეზე მსგავსება-კნინობითობის გამომხატველი სუფიქსების დართვით, ნაწილი კომპოზიტური ყალიბისაა, რომელთა რთული ფუძე უმეტესად მდედრობითი და მამრობითი სქესის აღმნიშვნელების შეწყვილებით არის მიღებული. გვხვდება, აგრეთვე, სხვაგვარად ნაწარმოები სახელებიც, რომელთა რიცხვი შედარებით მცირეა.

განსახილველი ჯგუფის სახელთაგან მამრობითი სქესის აღსანიშნს მიემართება: **ქალაჩუნა** (ყველაზე გავრცელებული ერთეული), **ქალა** (ქიზიყ.), **ქალია** (ქართლ.), **ქალისპირა** (ფშ.), **ქალატრუკა** (ქიზიყ.), **ჩუნია** (მთიულ.), **ქალჩო** (თუშ.), **დედაჭუა** (მოხ., ფშ., ხევს., თუშ.), **ქალაჭუა / ქალაჭუაი / ქალაჭუაი** (გარეკახ., ქიზიყ., ინგილ.), **გოგოჭუა / გოგოჩუა** (საუბ.; ქიზიყ.), **ქალბუბაყი** (თუშ.), **სადიაცე, დიაცურა** (ხევს.); მდედრობითი სქესის

აღსანიშნთან გვგზავნიან: **ქალაბიჭა, გოგობიჭა** (საუბ.), **ბიჭაჭა** (ქიზიყ.), **ბიჭრაკაცი** (თუშ.), **კაცმანიი** (მოხ.), **აშალლარა, დალლარა** (ქიზიყ.) და სხვ.

ზემოთ მოყვანილი ყველა ერთეული სათანადო დიალექტის ლექსიკონში განმარტებულია, როგორც ქალური ქცევის კაცი (/ ვაჟი / ბიჭი) და მამაკაცური (ვაჟური / ბიჭური) ქცევის ქალი (/ გოგო). ლექსიკონთა საილუსტრაციო მასალის თანახმად, მამრობითი სქესის შემთხვევაში შეუფერებელ ქცევად სახელდება ქალების წრეში ტრიალი, სიმხდალე, წვრილმან ამბებს გამოკიდება, ჭორიკანობა, სხვის საქმეში ჩარევა, ბიჭებისათვის – თოჭინებით თამაში, ტირილი. მდედრობითი სქესის შემთხვევაში მამაკაცურ ქცევად შეფასებულია, მაგალითად, ჭირითი, მუშტის მოღერება. რადგან, გენდერული სტერეოტიპების მიხედვით, სითამამე მამაკაცის ქცევითი მახასიათებელია, მდედრობითი სქესის ზემოდასახელებულ აღმნიშვნელთა ქვეჯგუფს უნდა მივაკუთვნოთ „თამამი, შეუპოვარი ქალის“ აღმნიშვნელი შემდეგი სიტყვებიც: **ახტაჯანა** (ქეგლი: საუბ.); **ახტაჯი, ახტაუჯა, ქორმამალა** (გურ.); **აჯია, აჯიი** (ქვ. იმ.); **ათხაჯი, ათხაჯელა, ქეჩალი** (ლეჩხ.); **ხუნტრუკელი** (ფშ.), **აჯილდა** (ფშ., ქართლ.); **აჩალანი, თათხაზაცი, ჩაფარხანაცი, თარაქმანაცი** (თუშ.); **აშალერა** (რაჭ.) და სხვ.

თუკი სახელის ფუძეში მხოლოდ ერთი სქესის აღმნიშვნელი დასტურდება, სიტყვის რეფერენტი ყოველთვის საპირისპირო სქესისაა: „იმ **კაცს** დავუძახებთ **ქალიასა**, შეშაზე რო წავა და ზურგით შეშას მოიტანს“ (ქართლ.); „დავხედე-დ ეს ჩვენ **ბიჭრაკაც მართა** ლეოს მუშტს უმწვეტაყებდ“ (თუშ.: „გავიხედე და ეს ჩვენი ქალაბიჭა მართა ლეოს მუშტს უღერებდა“). რაც შეეხება განსხვავებული სქესის აღმნიშვნელთა კომპოზიციის გზით მიღებულ ლექსემებს (**ქალაბიჭა, გოგობიჭა, ქალკაცა**), ქეგლი მათ მხოლოდ ქალის სახელმდებლებად წარმოგვიდგენს, ზოგიერთ დიალექტში კი ისინი ქალური ქცევის მამაკაცსაც მიემართებიან.

სასაუბრო თუ ჟარგონულ მეტყველებაში ხშირად იხმარება ცხოველთა სქესის აღმნიშვნელები. „**დედალი**“ უმეტესად გაუბედავ, მხდალ მამაკაცზე ითქმის. ზოგჯერ „დედალს“ მეტი სიმძაფრისთვის ქალის საკუთარი სახელის – მარიამის – კნინობით-

ალერსობითი ფორმა „მაშო“ ახლავს: „აბა, ვნახოთ, რას კაკანებს ეს ჩაპუტკუნებული **დედალ-მაშო!**“; **„დედალ-მაშოებივით** დუმდნენ, თავიანთ უსუსურობას მალავდნენ“ („ლიტერატურული საქართველო“, 2002 წ.). ქალურად ნაზი მამაკაცის აღმნიშვნელად ქეთევანის კნინობით-ალერსობითი ფორმა **„ქეთინოც“** გვხვდება. რაც შეეხება „მამალს“, ის უმეტესად „ქალის“ ან „გოგოს“ მსაზღვრელად იხმარება. **„მამალი ქალიაო“**, ინიციატივიან, ყოჩად ქალზე ამბობენ. ერთსიტყვიანი ლექსემების გვერდით, მსაზღვრელ-საზღვრულის ტიპის სხვა შესიტყვებებიც დასტურდება: **„დედათ უარე“**, **„დედათ ბიზიონაი“** (ხევს.), **„გოგოების მაჩალკა“**, **„ბიჭების მაჩალკა“** (ჟარგ.) და სხვ.

სათანადო კონტექსტებზე დაკვირვება გვიჩვენებს, რომ ქალურიქცევის მამაკაცის აღმნიშვნელებს ყოველთვის უარყოფითი კონოტაცია აქვთ, მაშინ როდესაც, მამაკაცთან რაიმე ნიშნით მსგავსება ქალის დადებითი შეფასების საფუძველი ხდება (შდრ. „მამალი ქალი“ და მისი ობსცენური ვარიანტები „კვერცხებიანი ქალი“, „ყვ-ებიანი ქალი“). პატრიარქალურ პრინციპზე აგებული კულტურა, ცხადია, ანდროცენტრულ დისკურსს წარმოშობს. ზემოთ განხილული ლექსემებიც სწორედ ამგვარი დისკურსის შემადგენლებად გვევლინებიან.

Throughout history, society has developed opinions regarding the behavior appropriate for men and women. These opinions form a system known under the name of gender stereotypes. Since verbal behavior forms an integral part of human behavior in general, there are certain opinions and prejudices with regard to male and female speech. Description of male and female discourses and cognitive analysis of the identified differences are the main tasks of gender linguistics. Naturally, observation of the entire speech is informative, although separate words can help restore the discourse related to gender stereotypes.

In the Georgian language and its dialects, colloquial speech and jargon, there are lexemes motivated by the situation which is opposite to the above-mentioned prejudices. These lexemes denote men with

typical female behavior and women showing typical male behaviour. Some of these words are formed by means of suffixes denoting similarity and diminutive meaning; others are compounds, formed by means of two stems, each denoting male and female sex. There are other nouns, formed differently and comprising a minor group.

If the noun stem is comprised of the signifier of only one sex, its referent is of the opposite sex, for example, „ქალა“ (girl) or „ქალია“ (girlie) denotes a man with female features of character, „ბიჭაჭუა“ (boyish) or „კაცმანია“ (mannish) is a woman with male features of character. As for the compounds representing both sexes („ქალაბიჭა“ (woman-boy), „გოგობიჭა“ (girl-boy), „ქალკაცა“ (woman-man)), they chiefly denote women, yet, in some dialects, they may also denote men with female features of character.

Observation of corresponding contexts has proved that the lexemes denoting men with female features always have a negative connotation, whereas the lexemes denoting women with male features contain positive evaluation (for instance, „მამალი ქალი“ (cock woman) and its obscene versions „კვერცხებიანი ქალი“ (woman with eggs), „ყვებიანი ქალი“ (woman with balls) denote a strong, energetic, brave woman). The culture based on patriarchal principles, naturally, yields androcentric discourse. The lexemes under analysis also form part of such discourse.

ქართული სალიტერატურო წარმოთქმის
ინტონაციური თავისებურებების ანალიზი
TOBI სისტემის საფუძველზე

ANALYSIS OF INTONATIONAL FEATURES
IN GEORGIAN LITERARY PRONUNCIATION BASED
ON THE TOBI SYSTEM

ზურაბ ოქროპირიძე

Zurab Okropiridze

ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
Ivane Javakhishvili Tbilisi State University

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი
Faculty of Humanities

საკვანძო სიტყვები: ფონეტიკა, ToBI სისტემა, პროსოდიული
მახასიათებლები

Keywords: phonetics, ToBI system, prosodic features

ენის ერთ-ერთი უმთავრესი პროსოდიული მახასიათებელი არის ინტონაცია, რომელიც განმსაზღვრელ როლს ასრულებს მნიშვნელობის, ემოციისა და კომუნიკაციური ნიუანსების გადმოცემისას.

ინტონაციის კომპონენტებია ფუნდამენტური სიხშირის (ძირითადი ტონი) ცვლილება, პაუზა, ტემპი, ტემბრი და სხვ. სწორედ აღნიშული კომპონენტების ცვლილება იწვევს ინტონაციურ მრავალფეროვნებას, შესაბამისად, გამონათქვამის მნიშვნელობის ცვლილებასაც.

როგორც ცნობილია, სინტაქსური თვალსაზრისით, წინადადება გამოხატავს დასრულებულ აზრს. მოდალობის თვალსაზრისით არსებობს კითხვითი, ბრძანებითი და თხრობითი წინადადება, რომელთაც თავიანთი დამახასიათებელი ინტონაციური კონტურები აქვთ.

ფონეტიკური თვალსაზრისით წინადადება იყოფა უფრო მცირე მონაკვეთებად – სინტაგმებად, რომლებსაც გააჩნიათ თავიანთი სპეციფიკური ინტონაციური კონტური. სინტაგმის გამოსაყოფად, მნიშვნელოვანია სინტაგმათშორისი პაუზის ან/და სინტაგმის ინტონაციური სპეციფიკური სურათის არსებობა.

ინტონაციური მახასიათებლების ანალიზი მნიშვნელოვანია ისეთ ენებში, როგორცაა ქართული, სადაც ინტონაციური სისტემები მდიდარია მისი შემადგენელი კომპონენტების ცვლილების მრავალფეროვნებით. ToBI (Tones and Break Indices) სისტემა გთავაზობს სტანდარტიზებულ მოდელს, რომელიც ინტონაციური კომპონენტების, კერძოდ, ტონებისა და პაუზების ზუსტი აღწერის საშუალებას იძლევა. ქართული სინტაგმების ანალიზისას ToBI სისტემა განსაკუთრებით გამოსადეგია, რადგან იგი საშუალებას იძლევა ტრადიციული და თანამედროვე მეთოდების შერწყმით, შეიქმნას სტანდარტიზებული და სიღრმისეული ანოტაციის სისტემა. რაც ქართული ინტონაციის შესწავლის ახალ პერსპექტივებს ხსნის.

მოხსენება მიმოიხილავს ქართული ენის ინტონაციური მახასიათებლების ანალიზს ToBI (Tones and Break Indices) სისტემის საშუალებით, რომელიც, როგორც აღვნიშნეთ ინტონაციის ანო-

ტაციის სტანდარტიზებულ მეთოდს წარმოადგენს. აღნიშნული მოხსენება ეყრდნობა ბატონ ივანე ლეჟავას სტატიას – „ქართული სალიტერატურო წარმოთქმის ინტონაციური თავისებურებანი“.

ToBI სისტემა თავდაპირველად შეიქმნა ამერიკული ინგლისურისთვის, თუმცა დღეს იგი ადაპტირებულია მრავალი ენისათვის (მაგ. ბრიტანული ინგლისურისათვის, გერმანულისათვის, იაპონურისათვის, ბერძნულისათვის, კორეულისათვის, ბასკურისათვის, პორტუგალიურისათვის, კატალონიურისათვის და სხვ.). ქართულში პროსოდიული მახასიათებლების ანოტაცია ტრადიციულად ხდებოდა სხვადასხვაგვარი პირობითი აღნიშვნებით – ისრებით. ანოტაციის ორიგინალური თვალსაზრისით მნიშვნელოვანია ნანაკიზირიას ნაშრომი „სალიტერატურო ქართულის ინტონაციის საკითხები“, სადაც პროსოდიული მახასიათებლები მუსიკალური ნოტებით არის ანოტირებული.

ToBI სისტემა დაფუძნებულია ორი ძირითადი პროსოდიული კომპონენტის ანოტაციაზე: **ტონების (Tone Tier)** და **პაუზების (Break Indices Tier)**.

ტონების ანოტაცია ითვალისწინებს როგორც კონკრეტული სეგმენტის აქცენტუაციის (**Pitch accents**) ანოტაციას, ისე წინადადების ან სინტაგმის ინტონაციური კონტურის (**Boundary tones**) ანოტაციას **სპეციალური აღნიშვნების გამოყენებით**.

აღნიშნული შესაძლებლობა უმნიშვნელოვანესია, რადგან, მაგალითად, მოდალური თვალსაზრისით თხრობით წინადადებას, როგორც წესი, ახასიათებს წინადადების ბოლოს ინტონაციის დამავალი კონტური, თუმცა მისი შემადგენელი სინტაგმები, სხვადასხვაგვარი კონტურებით ხასიათდება იმის მიხედვით, თუ რა ტიპისაა წინადადება, თუ რა ადგილი უკავია ფოკუსსა და ტოპიკს, რამდენი წევრისგანაა შემდგარი და ა.შ. (იხ. ფოტო 1).

ToBI სისტემაში პაუზების გამოყოფისთვის გამოიყენება **Break Indices**, რომელიც აღწერს პაუზის ხარისხს სიტყვებს ან სინტაგმებს შორის. პაუზის რაგვარობა აღნიშნულ მარკირების ენაში იყოფა ხუთ დონედ:


- **BI 0**: მიუთითებს, რომ გამყოფი პაუზა არ არის – ორი სიტყვა ან ფრაზა მიბმულია ერთმანეთზე.

- **BI 1:** სიტყვათშორისი საზღვარი, სადაც პაუზა მინიმალურია.
- **BI2:** სუსტად გამოყოფილი სიტყვათა საზღვარი, რომელიც აუდიტორულად ოდნავ იგრძნობა, მაგრამ ინტონაციური კონტური გრძელდება.
- **BI 3:** აშკარად გამოყოფილი პაუზა, რომელიც აჩვენებს, რომ ორი სიტყვა ან სინტაგმა მკაფიოდ გამიჯნულია.
- **BI 4:** პაუზა, ინტონაციური საზღვარი, რომელიც მიანიშნებს, რომ წინადადება დასრულდა.

პაუზის საკითხი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტია ენის პროსოდიული მახასიათებლების კვლევისას. პაუზების აღნიშნული სისტემით ანოტირება საშუალებას იძლევა დაინტერესებულმა პირებმა შეძლონ ზუსტი ინტონაციური კონტურის აღდგენა. გარდა ამისა, პაუზისა და ინტონაციის საკითხი მნიშვნელოვანია ხელოვნური ინტელექტის ძრავებზე დაფუძნებული ტექსტის მეტყველებად გარდამქმნელი პროგრამებისათვის (TTS), ვინაიდან ასეთი პროგრამების ძრავები, განვრთვინისას, ითვალისწინებენ პუნქტუაციის ნიშნებს სწორი ინტონაციის აღსადგენად და პაუზების სწორად დასასმელად, თუმცა, ქართულ ენაში პუნქტუაციური ნიშნები არა ინტონაციურ კონტურს, არამედ მორფოსინტაქსურ კონსტრუქციებს მიჰყვება, რაც ართულებს სწორი ინტონაციის გენერირებას.

მოხსენებაში „Praat“ პროგრამის გამოყენებით, ივ. ლეჟავას სტატიაში აღწერილი ექსპერიმენტის მასალებზე დაყრდნობით, წარმოვადგენთ ToBI სისტემაში ანოტირებული მაგალითებისა და ზემოთ ხსენებულ სტატიაში გამოყენებული პირობითი აღნიშვნებით ანოტირებული ნიმუშების შედარებით ანალიზს.

| | | | | | | | | | | | | | | | | | |
|----------------------|---|-----------|---|---------------------|---|------------------------|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ↗ | ↗ | ↘ | ↗ | ↗ | ↗ | ↘ | ↘ | ↘ | ↗ | ↑ | ↓ | ↘ | ↗ | ↗ | ↘ | ↘ | ↑ |
| ლადოს | | საზოგადოდ | | მწარეწაჰქონდამაგრამ | | მამიდისმიმართუიარალოდა | | | | | | | | | | | |
| ↘ | | ↘ | | ↘ | | ↘ | | | | | | | | | | | |
| უძლურადგრძნობდათავს. | | | | | | | | | | | | | | | | | |



ფოტო 1/Photo 1

The study of the intonational system of the Georgian language is essential, as it conveys pragmatic and emotional nuances. Intonation encompasses changes in components such as fundamental frequency (pitch), pauses, tempo, and timbre. Through these variations, intonation determines the meaning and communicative load of a phrase. Syntactically, sentences express complete thoughts, while modality differentiates between interrogative, imperative, and declarative sentences, each with its unique intonational contour.

Phonetically, sentences are divided into smaller segments – phrases – each with specific intonational contours. For phrase distinction, it is crucial to consider inter-phrase pauses or specific intonational characteristics of each phrase.

Analyzing intonational features is particularly significant in languages like Georgian, where the intonational system is rich in the variety of its component changes. The ToBI (Tones and Break Indices) system provides a standardized model that allows for precise annotation of intonational components—specifically, tones and pauses. When analyzing Georgian phrases, the ToBI system is particularly effective, as it enables the creation of a standardized and in-depth annotation system that combines traditional and modern methods, thus opening new perspectives for the study of Georgian intonation.

This presentation examines the analysis of Georgian intonational features through the ToBI (Tones and Break Indices) system, a standardized method of intonation annotation. The presentation is

based on the article by Ivane Lejava, “Intonational Features of Georgian Literary Pronunciation.”

The ToBI system was initially developed for American English but has since been adapted for various languages, including British English, German, Japanese, Greek, Korean, Basque, Portuguese, Catalan, and others. In Georgian, prosodic feature annotation has traditionally been done using various symbolic notations, such as arrows. Nana Kiziria’s work, “Issues in Georgian Literary Intonation,” is noteworthy for its originality in annotation, as it uses musical notation to indicate prosodic features.

The ToBI system is based on the annotation of two primary prosodic components: tones (Tone Tier) and pauses (Break Indices Tier). Tone annotation includes both the pitch accents of specific segments and the intonational contour (boundary tones) of a sentence or phrase, using special symbols.

This capability is crucial, as, for example, in terms of modality, declarative sentences are typically characterized by a descending intonational contour at the end of the sentence. However, their constituent phrases may have different contours, depending on sentence type, the placement of focus and topic, the number of elements, etc. (see Photo 1).

ToBI uses Break Indices to denote pauses between words or phrases, describing the strength of each pause across five levels:

- BI 0: indicates no separation between words or phrases, with continuous intonation.
- BI 1: a minimal word boundary, where the pause is barely noticeable.
- BI 2: a weak boundary between words, slightly perceptible, but the intonational contour continues.
- BI 3: a clearly marked pause, showing a distinct separation between two words or phrases.
- BI 4: a full pause or intonational boundary, signalling the end of a sentence.

The issue of pauses is one of the crucial components in studying prosodic features. Annotating pauses with this system enables precise intonational contour reconstruction. Additionally, understanding pauses and intonation is essential for text-to-speech (TTS) software based on artificial intelligence, as TTS engines, during training, consider punctuation for proper intonation and pause placement. However, in Georgian, punctuation aligns more with morphosyntactic structures than with intonational contours, making correct intonation generation challenging.

Using the “Praat” software and based on the experimental materials described in Iv. Lejava’s article, this presentation provides a comparative analysis of examples annotated with the ToBI system alongside examples annotated with conventional notations used in the aforementioned article.

***ყაბ-/*კაკ- ძირები საერთოქართველურში
(სემანტიკური რეკონსტრუქცია)**

***KAP'-/*Q'AB ROOTS IN COMMON-KARTVELIAN
(SEMANTIC RECONSTRUCTION)**

ეთერ სოსელია

Ether Soselia

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია
Georgian National Academy of Sciences

„ვეფხისტყაოსნის“ აკადემიური გამოცემისა და
„ქართული ენის თესაურუსის“ კომიტეტი
Committee for Academic Edition of “The Knight in the Panther’s Skin”
and “Thesaurus of the Georgian Language”

საკვანძო სიტყვები: საერთოქართველური, ზანურ-ქართული
ერთიანობა, სემანტიკური რეკონსტრუქცია, შესატყვისობა
Keywords: Common-Kartvelian, Zan-Georgian unity, semantic
reconstruction, correspondence

მოხსენება ეხება 'ყბის' მნიშვნელობასთან დაკავშირებული, ქართველურ ენებში დადასტურებული ფუძეების დიაქრონიულ ანალიზს, უმთავრესად კი სემანტიკური რეკონსტრუქციის პრობლემას.

„ქართველურ ენათა ეტიმოლოგიური ლექსიკონის“ მიხედვით ცნობილია შემდეგი რეკონსტრუქციები (იხ. ჰ. ფენრიხი, ზ. სარჯველაძე, ქართველურ ენათა ეტიმოლოგიური ლექსიკონი, თბილისი: სულხან-საბა ორბელიანის სახ. თბილისის სახელმწიფო პედაგოგიური უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2000, შესაბამისად: გვ. 526; 261-2; 504):

***ყაბ-**

რეკონსტრუირებულია საერთოქართველურ დონეზე შემდეგი შესატყვისობის საფუძველზე:

ქართული: **ყბ-ა**, **ნი-ყბ-ეჩ-ი** (ძვ. ქართ. 'ნიკაპი; წვერი');

სვანური: ჰჰ-**ყბა** ('ყბა; ლოყა'), **ყაბ** ('წვერი').

***კაპ-**

რეკონსტრუირებულია საერთოქართველურ დონეზე შემდეგი შესატყვისობის საფუძველზე:

ქართული: **ნი-კაპ-ი**, **კაპ-უნ-ი** ('კბილის კბილზე ცემისას გამოცემული ხმა');

სვანური: **ნი-კპ-ა/ნი-ჰკ-ა** ('ნიკაპი'), **კაპ-ჩჰ** ('ყბა').

***ღაჭ-**

რეკონსტრუირებულია საერთოქართველურ დონეზე შემდეგი შესატყვისობის საფუძველზე:

ქართული: **ღანჭ-ი** ('ყბა'), **ღანჭ-მოქცეუდი**;

სვანური: **ღი-ღჭკ-ე** ('ყბედობა'), **მგ-ღჭკ-ე** ('ყბედი').

ძირები რეკონსტრუირებულია, თუმცა მათი სემანტიკა დაზუსტებული არაა.

***ღაჭ-** ძირის რეკონსტრუქციასთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ ამ ძირის ქართულ რეფლექსად მოხმობილი ფორმა ღანჭი „ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში“ არ დას-

ტურდება, თუმცა გვაქვს ფორმა *ღიანჭი* შემდეგი განმარტებით: „საუბ. ქვედა ყბა“. ამდენად, სვანური ძირის დაკავშირება ქართულ *ღანჭ-* ძირთან ეჭვს ბადებს.

მართებული ჩანს სვანური *ღჭკ-* ძირის დაკავშირება ზანურ-ქართული ერთიანობის დონეზე რეკონსტრუირებულ **ღეჭ-* ძირის შემდეგ რეფლექსებთან:

ქართული: *ღეჭ-ვ-ა*, *ღეჭ-ავ-ს*;

მეგრული: *ღაჭ-უ-ა/ღანჭკ-უ-ა* ('ღეჭვა');

ლაზური: *ო-ღვანჭ-უ* ('ღეჭვა').

**ღეჭ-* ძირს სვანურში კანონზომიერად უნდა მოეცა ღეჭკ-, რომელიც გახმოვანების ნულოვან საფეხურზე (როდესაც მას მოსდევს სუფიქსი გახმოვანების სრულ საფეხურზე) ღჭკ- სახით იქნება წარმოდგენილი; *ღი-ღჭკ-ე* ('ყბედობა'), *მღ-ღჭკ-ე* ('ყბედი') ფორმები სემანტიკურადაც შესაძლებელია დაუკავშირდეს 'ღეჭვის' მნიშვნელობას (ორივე მნიშვნელობა ყბების აქტიურ ქმედებას გამოხატავს). ამდენად, **ღეჭ-* ძირი სავსებით შესაძლებელია აღვადგინოთ საერთოქართველურ დონეზე.

რაც შეეხება **ყაბ-* და **კაპ-* ძირების ურთიერთმიმართებას:

როცა **ყაბ-* ძირი გახმოვანების ნულოვან საფეხურზე **ყბ-* სახით არის წარმოდგენილი, /ბ/ ფონემა ყრუვდება და ფონეტიკურად გვაქვს [ყბ-], რომლის პარალელურ ფონეტიკურ ვარიანტად სავსებით დასაშვებია [კბ-]; ეს უკანასკნელი კი გახმოვანების სრულ საფეხურზე გახდება **კაპ-*.

ამგვარად, საერთოქართველურ დონეზე შესაძლოა პარალელურად არსებულიყო **ყაბ-* და **კაპ-* ძირები, რომელთაგან ერთი (ალბათ უფრო **ყაბ-*) სავარაუდოდ აღნიშნავდა ზოგადად 'ყბას', მეორე კი (ძირი **კაპ-*) 'ქვედა ყბას', როგორც უფრო აქტიურს, რომელსაც წაწვეტებული ბოლო (ნიკაპი) აქვს; სწორედ ამ უკანასკნელის აღმნიშვნელი ფუძეები უმეტესად **კაპ-* ძირისგან იწარმოება.

The paper deals with the diachronic analysis, mainly with the problem of semantic reconstruction in connection with the stems related to the meaning of ‘jaw’ attested in the Kartvelian languages.

According to the “Etymological Dictionary of the Kartvelian Languages”, the following reconstructions are known (H. Fähnrich, Z. Sarjveladze, Etymological Dictionary of the Kartvelian Languages, Tbilisi: Sulkhani-Saba Orbeliani Tbilisi State Pedagogical University Press, 2000, pp. 526; 261-2; 504 respectively):

***q’ab-**

Reconstructed in Common-Kartvelian on the basis of the following correspondences:

Georgian: **q’b-a**, **ni-q’b-er-i** (old Georg. ‘chin, beard’);

Swan: **hä-q’ba** (‘jaw, cheek’), **q’ab** (‘beard’)

***k’ap’-**

Reconstructed in Common-Kartvelian on the basis of the following correspondences:

Georgian: **ni-k’ap’-i**, **k’ap’-un-i** (‘the sound made when a tooth is beaten against a tooth’);

Swan: **ni-k’p’-a/ni-p’k’-a** (‘chin’), **k’ap’-räi** (‘jaw’).

***γač’-**

Reconstructed in Common-Kartvelian on the basis of the following correspondences:

Georgian: **γač’-i** (‘jaw’), **γač’-mokceuli** (‘jaw-damaged’);

Swan: **li-γč’k’-e** (‘blab’), **mə-γč’k’-e** (‘blabber’).

The roots have been reconstructed, but their semantics have not been clarified.

In connection with the reconstruction of the latter root, it should be noted that the Georgian corresponding form **γač’-i** is not attested in the “Explanatory dictionary of the Georgian language”, although there is the form **γranč’-i** with the following definition: “coll. lower jaw”. Thus, it seems doubtful to relate the Swan root with the Georgian **γranč’-i**.

It seems appropriate to regard the Svan root $\gamma\check{c}'k'$ - as corresponding to the following forms descended from the root $*\gamma\check{c}'$ - (reconstructed at the stage of Zan-Georgian unity, according to the above mentioned “Etymological Dictionary of the Kartvelian Languages”):

Georgian: $\gamma\check{c}'$ -*v-a*, ('chewing') $\gamma\check{c}'$ -*av-s* ('is chewing');

Megrelian: $\gamma\check{c}'$ -*u-a*/ $\gamma\check{c}'k$ -*u-a* ('chewing');

Laz: *o-yvanč'*-*u* ('chewing').

From the root $*\gamma\check{c}'$ - there should be formed $\gamma\check{c}'k'$ - in Svan (according to the established regularities), which in the zero grade of ablaut (when it is followed by a suffix in the full grade) will be represented as $\gamma\check{c}'k'$ -; The forms *li- $\gamma\check{c}'k'$ -e* ('blab'), *mə- $\gamma\check{c}'k'$ -e* ('blabber') could also be semantically connected with the meaning of 'chewing' (both meanings express the active action of the jaws). Thus, it is quite possible to reconstruct the root $*\gamma\check{c}'$ - in Common-Kartvelian.

As for the interrelation between the roots $*q'ab$ - and $*k'ap'$ -:

When the root $*q'ab$ - is represented as $*q'b$ - at the zero grade of ablaut, the phoneme /b/ phonetically should be represented as voiceless [p'], and respectively the root would have [q'p'-] form for which [k'p'-] seems as its perfectly acceptable parallel phonetic variant; the latter will become $*k'ap'$ - at the full grade.

Thus, in Common-Kartvelian the existence of two parallel roots $*q'ab$ - and $*k'ap'$ - seems quite possible; one of those two roots (more probably $*q'ab$ -) would have the meaning of 'jaw' in general, and the other one would be used with the meaning of 'lower jaw', as the more active one with a pointed ending (chin). The stems denoting the latter are mostly derived from the root $*k'ap'$ -.

**ფრანი – კიდევ ერთი ხმოვანმონაცვლე
ზმნისაგან წარმოქმნილი სახელი**

**ფრანი PRANI “KITE” – ONE MORE NOUN DERIVED
FROM A VERB WITH ABLAUT**

რამაზ ქურდაძე

Ramaz Kurdadze

ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
Ivane Javakhishvili Tbilisi State University

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი
Faculty of humanities

საკვანძო სიტყვები: ქართული ენა, ხმოვანმონაცვლე ზმნები,
წარმოქმნილი სახელი, პირველი სრია, მეორე სერია

Keywords: Georgian language, verbs with ablaut, derived noun, first
series, second series

ქართულში ზმნურ ფუძეთაგან სახელთა წარმოების ერთ მეტად საინტერესო წესს ვადასტურებთ. კერძოდ, მხედველობაში გვაქვს **ე - ი** ტიპის ხმოვანმონაცვლე ზმნათაგან სახელთა წარმოქმნა, როდესაც წარმოქმნილი სახელების ნაწილი პირველი სერიის **ე**-ხმოვნიანი ფუძით გვხვდება: **დენი** < ადენს - ადინა; **შხეფი** < შხეფს - შხიფა; **წნეხი** < წნეხს - წნიხა და სხვ. ხოლო ნაწილი - მეორე სერიის **ი**-ხმოვნიანი ფუძით: **კვნიგი** < კვნეგს - კვნიგა; **ღხინი** < აღხენს - აღხინა; **ჩინი** < აჩენს - აჩინა და სხვ.

ე- და **ი**-ხმოვნიანი ფუძეებისაგან წარმოქმნილ სახელებთან ერთად გვაქვს ამავე ტიპის ზმნებისაგან წარმოქმნილი სახელები **ა**-ხმოვნიანი ფუძით: **შხაგი** < შხეგს - შხიგა; **შხაპი** < შხეპს - შხიპა; **ჭყაპი** < ჭყეპს - ჭყიპა (რ. ქურდაძე).

ამ ტიპის სახელები **ა**-ხმოვნიანი ფუძით იშვიათია და განსაკუთრებული მნიშვნელობისაა, რადგან ისინი სხვადასხვა საკითხს აღძრავენ ხმოვანმონაცვლე ზმნურ და სახელურ ფუძეებთან დაკავშირებით.

ზემოაღნიშნულ მაგალითებს კიდევ ერთ სახელს მივამატებთ, რომელიც ფუძეში ასევე **ა** ხმოვანს წარმოგვიდგენს და **ე - ი** ტიპის ხმოვანმონაცვლე ზმნისაგან მომდინარეობს. ასეთია სიტყვა **ფრანი** - ბავშვების სათამაშო: *ჰაეხში ასაშვები მოწყობილობა - ძაფზე გამობმული ქალაღის ფუხცედი ან ქსოვილის ნაჭეხი, ხომღებედაც ხის თხელი ფიფიგებია დაკხული* (ქეგლ-ი). ჩვენი აზრით, ეს სიტყვა ნაწარმოებია ხმოვანმონაცვლე *ფხენს // ფხინავს - იფხინა* ზმნისაგან და მსგავსად **შხაგი**, **შხაპი**, **ჭყაპი** სახელებისა ფუძეში **ა** ხმოვანს გვიჩვენებს.

In Georgian, there is an interesting rule of forming nouns from verbal stems. In this case, we mean the formation of nouns from the verbs with ablaut of **ე e - ი i** type, where certain nouns have a stem with the vowel **ე e** - of the first series: **დენი** “(electric) current, electricity” < ადენს adens “makes to flow” - ადინა adina “made to flow”; **შხეფი** *šxepi* “splash” < შხეფს šxeps “is splashing” - შხიფა šxipa “splashed”; **წნეხი** *c'nexi* “press” < წნეხს c'nexs “is pressing” - წნიხა c'nixa “pressed” and

so on. Other nouns have a stem with the vowel **o i** - of the second series: **კვნიტი k'vnit'i "bite"** < კვნიტის k'vnets "is biting" - კვნიტა k'vnit'a "bit"; **ღბინი lxini "joy"** < ღებენს alxens "makes joyful" - ღბინა alxina "made joyful"; **ჩინი čini "sight"** < აჩენს ačens "makes appear" - აჩინა ačina "made appear" and so on.

